სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
27854893960921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N210083731

რეგისტრაციის თარიღი
05.02.2021 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის ხუთ თებერვალს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე, მომმართა **ვახტანგი მაღლაკელიძემ**. მან განაცხადა, რომ არის **შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის** (ს/კ 430027302) დირექტორი და საზოგადოების სახელით მოითხოვა **გიორგი ინასარიძისათვის** (დაბ. 23.09.1962წ. თბილისში, პირადი #01017001114, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა #40, ბინა 3) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **ვახტანგი მაღლაკელიძე** - დაბ. 30.04.1978წ. ზესტაფონში, პირადი #18001001561, რეგისტრირებული მისამართზე: ზესტაფონი, ივანე კეკელიძის ქუჩა #2, ბინა 15. მე შევამოწმე ვახტანგი მაღლაკელიძის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის შესახებ, საიდენტიფიკაციო ნომერი 430027302, განცხადების რეგისტრაციის #B20101211, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/12/2020წ, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. #11, სართ. 1, ელ. ფოსტა: vmaghlakelidze@mail.ru, შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის წესდება წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის ხუთ თებერვალს, ამ მინდობილობით **ვახტანგი მაღლაკელიძემ**, როგორც **შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის** (ს/კ 430027302) დირექტორმა, შემდგომში წოდებული “მიმნდობი”, საზოგადოების სახელით **გიორგი ინასარიძეს**, შემდგომში წოდებული „მინდობილი” მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყო მიმნდობის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, დეპარტამენტებში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებართვა, შეათანხმოს პროექტი და აიღოს შესაბამისი ნებართვა (ყველა სტადიის ჩათვლით), შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, გააგრძელოს ნებართვის ვადა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ნებართვებს და/ან თანხმობებს, აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, სარეგისტრაციო დოკუმენტების დახარვეზების შემთხვევაში წარადგინოს შესწორებული დოკუმენტაცია და შეასწოროს ხარვეზი, განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა, მოახდინოს დოკუმენტების ატვირთვა, გადაიხადოს გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს და/ან ჩაიბაროს) ყველა საჭირო დოკუმენტი (მიიღოს დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე ხელზე), მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.
2. მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდასამი წლის ხუთ თებერვალის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.
3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან
4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 13.80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

მიმნდობი: ვახტანგი მაღლაკელიძე

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
27854893960921

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N210083731

რეგისტრაციის თარიღი
05.02.2021 წ

ნოტარიუსი: ინგა ხარძიანი
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
ტელეფონი: 2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის ხუთ თებერვალს, მე, ნოტარიუს ინგა ხარძიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველ სართულზე, მომმართა **ვახტანგი მაღლაკელიძემ**. მან განაცხადა, რომ არის **შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის** (ს/კ 430027302) დირექტორი და საზოგადოების სახელით მოითხოვა **გიორგი ინასარიძისათვის** (დაბ. 23.09.1962წ. თბილისში, პირადი #01017001114, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა #40, ბინა 3) შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების გადაცემის აქტის (მინდობილობის) შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით: **ვახტანგი მაღლაკელიძე** - დაბ. 30.04.1978წ. ზესტაფონში, პირადი #18001001561, რეგისტრირებული მისამართზე: ზესტაფონი, ივანე კეკელიძის ქუჩა #2, ბინა 15. მე შევამოწმე ვახტანგი მაღლაკელიძის უფლებამოსილება, რაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის შესახებ, საიდენტიფიკაციო ნომერი 430027302, განცხადების რეგისტრაციის #B20101211, ამონაწერის მომზადების თარიღი: 10/12/2020წ, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ზესტაფონი, აღმაშენებლის ქ. #11, სართ. 1, ელ. ფოსტა: vmaghlakelidze@mail.ru, შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის წესდება წარმოდგენილია სამეწარმეო რეესტრის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობა, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულიად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაერთი წლის ხუთ თებერვალს, ამ მინდობილობით **ვახტანგი მაღლაკელიძემ**, როგორც **შპს „სიეიჩ ჯგუფი CH Group“-ის** (ს/კ 430027302) დირექტორმა, შემდგომში წოდებული “მიმნდობი”, საზოგადოების სახელით **გიორგი ინასარიძეს**, შემდგომში წოდებული „მინდობილი” მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყო მიმნდობის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, დეპარტამენტებში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებართვა, შეათანხმოს პროექტი და აიღოს შესაბამისი ნებართვა (ყველა სტადიის ჩათვლით), შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, გააგრძელოს ნებართვის ვადა, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს, ნებართვებს და/ან თანხმობებს, აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, სარეგისტრაციო დოკუმენტების დახარვეზების შემთხვევაში წარადგინოს შესწორებული დოკუმენტაცია და შეასწოროს ხარვეზი, განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა, მოახდინოს დოკუმენტების ატვირთვა, გადაიხადოს გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს და/ან ჩაიბაროს) ყველა საჭირო დოკუმენტი (მიიღოს დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე ხელზე), მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.
2. მინდობილობა ძალაშია ორიათას ოცდასამი წლის ხუთ თებერვალის ჩათვლით. მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს ზემოაღნიშნული მინდობილობა.
3. მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში თან ერთვის დანართი შემდეგი დოკუმენტი:
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან
4. გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა 10 (ათი) ლარი (აგრეთვე დ.ღ.გ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახდო კოდექსის 166-ე მუხლისა) და 39-ე მუხლისა რეგისტრაციის საფასური ორი ლარი (დ.ღ.გ ჩათვლით), სულ გადახდილია 13.80 ლარი (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

მიმნდობი: ვახტანგი მაღლაკელიძე

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/

ბრძანება:**ბ01.012215211**

თარიღი:**01/06/2022**

„ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქარელის ქუჩა N25/ნატახტრის ქუჩა N20/ ნატახტრის ქუჩა N20ა-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: N01.10.17.013.019, 01.10.17.013.027) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01221453568-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქარელის ქუჩა N25/ნატახტრის ქუჩა N20/ ნატახტრის ქუჩა N20ა-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: N01.10.17.013.019, 01.10.17.013.027) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, ნატახტრის ქუჩა N18/N20/N20ა; ქალაქი თბილისი, ქარელის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: N01.10.17.013.029, N01.10.17.013.019) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქალაქ თბილისში, ნატახტრის ქუჩა N18/N20/N20ა; ქალაქი თბილისი, ქარელის ქუჩა N25-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.17.013.029, N01.10.17.013.019) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმდგენილი პარამეტრის შესაბამისად და განისაზღვროს: მიწის ნაკვეთისთვის, საკადასტრო კოდი: N01.10.17.013.029, კ-2=3.2, მიწის ნაკვეთისთვის საკადასტრო კოდი: N01.10.17.013.019, კ2=4.8“

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01221453568-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01221513**
თარიღი: **31/05/2022**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01221453568-67
განცხადების თარიღი:	25/05/2022
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.10.17.013.029
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N 18 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N 20 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნატახტარი , N20ა
მესაკუთრეები :	შპს "სიეიჩ ჯგუფი CH Group",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	გიორგი ინასარიძე
პირადი ნომერი :	01017001114
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 40, ბინა 3
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ვახტანგ მაღლაკელიძე
საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების რეკვიზიტები :	
აქტის ნომერი :	1271067
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

კ - 1 :	0.5
კ - 2 :	4.4
კ - 3 :	0.2
მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0.5
კ - 2 :	3.2
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გვესაჭიროება ცვლილების შეიტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 26/10/2015 წლის26/10/2015 წლის 1-4108 ბრძანებაში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 10/11/2015 წლის ბრძანებაში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 10/11/2015 წლის 1-1-26168 26168 ბრძანება)
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	შუალედური პასუხის მიხედვით 01.10.17.013.004 ნაკვეთის კ2= 1,5 შეესაბამება და მისი გაერთიანებით მშენებარე ნაკვეთან ახალი საკადასტრო ერთეულის ს კ / 01.10.17.013.029 დაანგარიშებული კოეფიციენტია კ 1=0.5, კ2=3.2, კ3=0.2
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
გადაწყვეტილების დასაბუთება :	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანებით NN01.10.17.013.022 (370 კვ.მ), 01.10.17.013.002 (426 კვ.მ), 01.10.17.013.021 (451 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა კ2 4.4, ხოლო N01.10.17.013.019 (ფართობი 742 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის კ2 განისაზღვრა 4.8-ით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის N1-2616 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანებაში, კერძოდ მიწის ნაკვეთისთვის ს/კ N01.10.17.013.027 (ფართობი 1247 კვ.მ) კ2 განისაზღვრა 4.4-ით, ხოლო ნაკვეთისთვის ს/კ N01.10.17.013.019 (ფართობი 742 კვ.მ) კ2-4.8; NN01.10.17.013.002 (426 მ2); 01.10.17.013.021(451მ2); 01.10.17.013.022 (370 მ2); (ფართობი 1247 კვ.მ) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით (საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის პარამეტრებით და პირობებით) №1271067 03.06.2014 გადაწყვეტილებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4340071 17/01/2019 ბრძანებით №01.10.17.013.027 (ფართობი 1247 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. №4402370 07/03/2019 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. (№5284615 12/02/2021 ბრძანება - მშენებლობის ახალი ნებართვა) დღეის მდგომარეობით მიწის ნაკვეთის ფართობი გაიზარდა და შეიცვალა საკადასტრო მონაცემები (ს/კ N01.10.17.013.029 ფართობი 1780 კვ.მ), შესაბამისად მოთხოვნილია ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანებაში შეცვლილი მონაცემების დაფიქსირებით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-19 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმად მიწის ნაკვეთი, რომელზეც გადამეტებულია განაშენიანების რეგულირების პარამეტრები, შესაძლებელია გაერთიანდეს სხვა მიწის ნაკვეთთან/ ნაკვეთებთან იმგვარად, რომ გაერთიანებული ნაკვეთის საერთო ფართობი არაუმეტეს 10%-ისა აღემატებოდეს გაერთიანებამდე არსებული საპროექტო ტერიტორიის ფართობს. გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების პარამეტრები ექვემდებარება გასაშუალოებას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

	რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად. ზემოხსენებული პროცენტულობის გადამეტების შემთხვევაში, საპროექტო მიწის ნაკვეთთან სხვა მიწის ნაკვეთი გაერთიანდება ნულოვანი სამშენებლო პოტენციალით. შემოერთებულ მიწის ნაკვეთზე მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა. ნაკვეთისთვის კონკრეტული ქვეზონის პარამეტრების მინიჭება ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-19 მუხლით განსაზღვრული კვლევის ან ქალაქთმშენებლობითი კადასტრის საფუძველზე. მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ზოგადი საცხოვრებელი ზონა დაზუსტდეს საცხოვრებელი ზონა-3 (სზ-3)-ით, შესაბამისად შემოერთებული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განხილული უნდა იყოს კ2=1.5-ის ფარგლებში.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების 21-ე მუხლის თანახმად გასაშუალოება ხორციელდება მე-5 პუნქტში მოცემული ფორმულის შესაბამისად; ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „სხვა მიწის ნაკვეთის“ ფართობის ის ნაწილი, რომელიც აღემატება წინა პუნქტით დადგენილ პროცენტულ ოდენობას, საპროექტო მიწის ნაკვეთს გაუერთიანდება ნულოვანი სამშენებლო პოტენციალით. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტება განხორციელდა 1247 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ხოლო მიერთებული ტერიტორია შეადგენს 533 კვ.მ., მიერთებული ფართობიდან კ2-ის საანგარიშო ფართობში უნდა შევიდეს 1247კვ.მ- 10% = 124.7 კვ.მ, მოქმედი ფუქციური ზონისთვის კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისად - საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) (კ2=1.5); გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2 საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში) 1247X4.4=5486.8, მიერთებული ფართობის კ2-ის საანგარიშო ფართობი 124.7X1.5=187.05 კვ.მ; (5486.8+187.05=5673.85); 5673.85/1780=3.18; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-12 მუხლის თანახმად კ-2 მაჩვენებელი მრგვალდება მეათედის სიზუსტით, შესაბამისად გასაშუალოების შედეგად კ2 კოეფიციენტი = 3.2 ზემოთქმულის გათვალისწინებით სააგენტოს მოთხოვნილი ცვლილების განხორციელება შესაძლებლად მიაჩნია კერძოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 26 ოქტომბრის N4108 ბრძანების შესაბამის პუნქტში დაფიქსირდეს საკადასტრო კოდი: N01.10.17.013.029, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2-3.2;



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)